ურთიერთგაგების მემორანდუმი

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID)

და

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის

ქ. თბილისი

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID)

და

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის

სამინისტროსთვის 58 ერთეული პორტატული კომპიუტერის გადაცემის თაობაზე, საქართველოში „ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერების“ (SEAS) პროექტის საქმიანობის ფარგლებში

მემორანდუმის მხარეები: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), მინისტრის ოთარ დანელიას სახით და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) (შემდგომში - სააგენტო), სტივენ მ. ჰეიკინის (მისიის ხელმძღვანელი) სახით, ითვალისწინებენ სოფლის მეურნეობის, როგორც ქვეყნის პრიორიტეტული ეკონომიკური დარგის განვითარების აუცილებლობას და სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

1. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო „საქართველოში ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერების (SEAS) პროექტის“ ფარგლებში, უზრუნველყოფენ თანამშრომლობის განხორციელებას სოფლის მეურნეობის დარგში ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების გასაძლიერებლად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე, მონაწილე მხარეები აფორმებენ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სამინისტროსათვის 58 ერთეული პორტატული კომპიუტერის გადაცემასთან დაკავშირებით.

2. აღნიშნული თანამშრომლობის ჩარჩო დოკუმენტი საქართველოში ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერებას უკავშირდება, რაც იმ საქმიანობათა ნაწილია, რომელიც ხორციელდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა (რომელსაც წარმოადგენს USAID) და საქართველოს (რომელსაც წარმოადგენს ფინანსთა სამინისტრო) შორის 2010 წლის 12 აგვისტოს გაფორმებული დახმარების ხელშეკრულების შესაბამისად.

3. წინამდებარე მემორანდუმით უზრუნველყოფილი უნდა იქნას მონაწილე მხარეთა მიზნების ურთიერთშეთანხმება. მხარეები, რომლებიც აფორმებენ აღნიშნულ მემორანდუმს ამავდროულად ინარჩუნებენ საკუთარი მისიისა და მანდატის მიმართ ერთგულებას, ასევე

მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ ანგარიშვალდებულებებს. მემორანდუმის არცერთი დებულება არ იქნება გაგებული როგორც უპირატესი ძალის მქონე ან ხელისშემშლელი გარემოება მხარეთა მიერ ამ მემორანდუმის ხელმოწერამდე ან მისი ხელმოწერის შემდეგ გაფორმებულ ნებისმიერ სხვა შეთანხმებასა თუ ხელშეკრულებასთან მიმართებაში.

4. მონაწილე მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ წინამდებარე მემორანდუმი არ ადგენს რაიმე თანხის მიღების ან გაცემის ვალდებულებას და არც იურიდიულად არ აკისრებს არცერთ მხარეს ამგვარი ვალდებულების აღებას.

მუხლი 2. USAID-ის უფლება- მოვალეობები

SEAS პროექტის მხარდაჭერით, USAID-ი მიზნად ისახავს შემდეგი საქმიანობის განხორციელებას:

2.1 სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის 48 (ორმოცდარვა) ერთეული ახალი პორტატული კომპიუტერის გადაცემას, რომლებიც გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტებში სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებისთვის (ICC), მათი თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვის უზრუნველსაყოფად.

2.2 სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტისა და რეგიონალური სამმართველოების უფროსებისთვის 10 (ათი) ერთეული პორტატული კომპიუტერის გადაცემას;

2.3 სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტთან თანამშრომლობას, კომპიუტერული ტექნიკის ეფექტურად გამოყენებისთვის საჭირო სასწავლო პროგრამების ჩატარების უზრუნველსაყოფად იმ რეგიონალური სამმართველოს უფროსებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომლებისათვის, რომლებიც უშუალოდ ისარგებლებენ აღნიშნული კომპიუტერული ტექნიკით.

მუხლი 3. სამინისტროს უფლება-მოვალეობები

სამინისტრო მიზნად ისახავს შემდეგი საქმიანობის განხორციელებას:

3.1 58 (ორმოცდათვრამეტი) ერთეული პორტატული კომპიუტერის მიღებას, საქართველოში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფარგლებში ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურების საქმიანობის მხარდასაჭერად.

3.2 48 (ორმოცდარვა) ერთეული პორტატული კომპიუტერის მუნიციპალიტეტებში სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებისთვის გადაცემას;

3.3 10 (ათი) ერთეული პორტატული კომპიუტერის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტისა და რეგიონალური სამმართველოების უფროსებისთვის გადაცემას;

3.4 სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის კოორდინირებას, რათა მომზადდეს გადმოცემული კომპიუტერული ტექნიკა დასარიგებლად, მათი შემოწმების და იმ შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გზით, რაც სამინისტროს თანამშრომლებს ესაჭიროებათ.

3.5 SEAS-ის პროექტთან თანამშრომლობას, კომპიუტერული ტექნიკის ეფექტურად

გამოყენებისთვის საჭირო სასწავლო პროგრამების ჩატარების უზრუნველსაყოფად, რეგიონალური სამმართველოების უფროსებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების იმ თანამშრომელთათვის, რომლებიც უშუალოდ იქნებიან პასუხისმგებელნი აღნიშნული კომპიუტერული ტექნიკის სარგებლობასა და მოვლაზე.

3.6 საჭირო პირობების შექმნას კომპიუტერული ტექნიკის არ დაზიანების უზრუნველსაყოფად, ასევე მათი დაკარგვის, მოპარვის ან არადანიშნულებისამებრ გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ასევე მოხდეს მათი სათანადო მოვლა-შენახვა, ხელმისაწვდომობა და გამოყენება ექსტენციისა და საკონსულტაციო საქმიანობის განსახორციელებლად.

3.7 შესაბამისი დოკუმენტების მომზადებას, რომელშიც აისახება კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების, ადგილმდებარეობის, მდგომარეობის, მოვლა-პატრონობისა და გამოყენების პირობები.

3.8 კომპიუტერულ აღჭურვილობაზე იმ სპეციალური მარკირებისა და ნიშნის დაცვა, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ მათი შეძენა USAID-ის დახმარებით იქნა შესაძლებელი.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1 წინამდებარე მემორანდუმი შეიძლება შეიცვალოს წერილობითი ფორმით, თითოეული მხარის (USAID და სამინისტრო) უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ. თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს მონაწილეობა აღნიშნულ შეთანხმებაში, მეორე მხარისთვის ოცდაათი (30) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

4.2 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებზე. ამ ორ ვერსიას შორის შეუსაბამობის ან ორაზროვნების არსებობის შემთხვევაში, უპირატესი ძალა ენიჭება ინგლისურ ვერსიას.

4.3 მემორანდუმი ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და ძალაში დარჩება 2016 წლის 31 დეკემბრამდე ან მისი შეწყვეტის მომენტამდე, თუკი ამ ორიდან ერთ-ერთი უფრო ადრე მოხდება.

მემორანდუმი ფორმდება ქალაქ თბილისში, 2015 წლის 13 მაისს, ოთხ ეგზემპლარად - ორი ინგლისურ და ორი ქართულ ენაზე.

USAID/Caucasus	**სოფლის მეურნეობის სამინისტრო**
სტივენ მ. ჰეიკონი მისიის ხელმძღვანელი	ოთარ დანელია მინისტრი

MEMORANDUM OF UNDERSTANDING

Between

The United States Agency for International Development

and

The Ministry of Agriculture of Georgia

On Provision to the Ministry of 58 Laptop Computers from the Strengthening Extension and Advisory Services in Georgia Activity

ARTICLE 1. PURPOSE

1) The United States Agency for International Development (USAID), through the Strengthening Extension and Advisory Services in Georgia (SEAS) Activity (**SEAS Project**), and the Ministry of Agriculture of Georgia (**Ministry**), which are collectively referred to as the Participants, intend to cooperate to strengthen Agricultural Extension and Advisory Services in Georgia for the benefit of Georgian Agriculture. To achieve this goal in the spirit of bilateral cooperation, the Participants have concluded this Memorandum of Understanding (**MOU**), which reflects the intentions and expectations of each Participant relative to the donation of 58 computers to the Ministry.

2) This cooperation framework relates to strengthening the agricultural extension and advisory services in Georgia, one of the activities conducted pursuant to the Assistance Agreement signed on August 12, 2010, between the United States of America, acting through USAID, and Georgia, acting through the Ministry of Finance, as amended.

3) The purpose of this MOU is to set forth the understanding and intentions of the Participants. The Participants are entering into this MOU while wishing to maintain their own separate and unique missions and mandates, and their own accountabilities. Nothing in this MOU shall be construed as superseding or interfering in any way with other agreements or contracts entered into by the Participants, either prior to or subsequent to the signing of this MOU.

4) The Participants further specifically acknowledge that this MOU is not an obligation of funds, nor does it constitute a legally binding commitment by any Participant.

ARTICLE 2. ROLES AND RESPONSIBILITIES OF USAID

USAID, through support of the SEAS Project, intends to:

2.1. Provide forty-eight (48) new laptop computers to the Ministry for the specific purpose of equipping the district-based Information and Consultancy Centers (ICC) with modern computer equipment.

2.2. Provide ten (10) additional laptop computers for the specific use by the newly named regional heads of the ICC offices and for the leadership of the new Regional Coordination Department of the Ministry which manages ICC activities.

2.3. Work cooperatively with the Ministry's Information Technology (IT) Department in providing training on effective computer use to the regional office heads and to district-based ICC employees who will be primary users of the computers.

ARTICLE 3. ROLES AND RESPONSIBILITIES OF THE MINISTRY

The Ministry intends to:

3.1. Accept the fifty-eight (58) laptop computers in support of the Ministry's expanded agricultural extension and advisory services activity in Georgia.

3.2. Allocate and distribute one laptop computer to each of forty-eight (48) district-based offices of the Ministry's ICCs.

3.3. Allocate and distribute ten (10) laptop computers to the regional heads of the ICC offices and to the leadership of the new Regional Coordination Department of the Ministry.

3.4. Instruct the IT Department of the Ministry to prepare the donated computers prior to delivery to end-users by testing the equipment and by loading relevant software onto the computers that is needed by the field staff of the Ministry.

3.5. Cooperate with the SEAS Project in providing training on effective computer use to the regional office heads and the Ministry field staff who will be primarily responsible for the use and care of the computers at the district office.

3.6. Take all reasonable steps necessary to ensure that the computer equipment is not damaged, lost, stolen or misused, and is properly maintained, available and usable for agricultural extension and advisory services activity.

3.7. Maintain records adequate to show receipt, location, condition, maintenance and use of the computer equipment.

3.8. Preserve markings on the computer equipment that indicate the equipment is provided through assistance by USAID.

ARTICLE 4. GENERAL PROVISIONS

4.1. This MOU may be amended or modified in writing by the authorized representatives of each Participant (USAID and Ministry). Either Participant may terminate its participation in this MOU by giving the other thirty (30) days written notice.

4.2. This MOU is prepared in both English and Georgian. In the event of ambiguity or conflict between the two versions, the English language version will control.

4.3. This MOU shall be effective on the day it is signed by both Participants and shall remain in operation until 31 December 2016 or until terminated, whichever is earlier.

The MOU is signed in the city of Tbilisi, Georgia on May ___, 2015, in four copies – two each in English and Georgian languages.

USAID/Caucasus

Stephen M. Haykin
Mission Director

Ministry of Agriculture of Georgia

Otar Danelia
Minister